

საქართველოს ოფიციალური  
სტატისტიკის ეროვნული სისტემის  
განვითარების 2024-2027 წლების  
სტრატეგიისა და მისი განხორციელების  
2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის  
მომზადების პროცესში  
დაინტერესებული მხარეების  
ჩართულობისა და საჯარო  
კონსულტაციების ანგარიში

დანართი IV

## შინაარსი

1. შესავალი .....	3
1.1 მეთოდოლოგია.....	3
1.1.1 დაინტერესებული მხარეების ანალიზი.....	4
1.1.2 დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის და საჯარო კონსულტაციისთვის შერჩეული მეთოდები .....	6
2. სექტორული კონსულტაციები.....	7
2.1 ორმხრივი საკონსულტაციო შეხვედრები .....	7
2.2 სამუშაო ჯგუფების შეხვედრები .....	8
3. საჯარო კონსულტაციების შეხვედრები.....	11
3.1 ვებსაიტზე გამოქვეყნება და საჯარო კონსულტაციის პროცესში დაინტერესებულ მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება .....	14
დანართები.....	22
დანართი 1 – საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეთა სია.....	22
დანართი 2 – სამუშაო ჯგუფების შეხვედრის დღის წესრიგი.....	26
დანართი 3 – სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა .....	28
დანართი 4 – უწყებათაშორისი საბჭოს დეტალები და შემადგენლობა .....	30
დანართი 5 – საჯარო უწყებების სია, რომელთაც ოფიციალურად გაეგზავნათ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია უკუკავშირისა და ვალიდაციისთვის .....	31

# 1. შესავალი


საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2024-2027 წლების სტრატეგიის შემუშავების პროცესი დაეყრდნო პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოსა და განვითარებადი ქვეყნებისათვის 21-ე საუკუნეში სტატისტიკის განვითარებისათვის პარტნიორობის PARIS21-ის მიერ შემუშავებული ოფიციალური სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგიის საერთაშორისო სახელმძღვანელოს. აღნიშნულ სახელმძღვანელოებში ხაზგასმულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აუცილებლობა. ოფიციალური სტატისტიკის მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფისთვის ეროვნული სტატისტიკის სისტემის განვითარების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სტრატეგიის შემუშავების პროცესი წარმართა დაინტერესებული მხარეების სიღრმისეული ჩართულობით.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისობის უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, ეროვნული სტატისტიკის სისტემის წევრების საჭიროებებთან და, მეორე მხრივ, სტატისტიკის მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფის მიერ მაღალი ხარისხის სტატისტიკაზე მზარდ მოთხოვნასთან. დაინტერესებული მხარეების ანალიზის საფუძველზე შერჩეულმა ჩართულობის მეთოდების კომბინაციამ უზრუნველყო დაინტერესებული მხარეების მოლოდინების მართვა, სტრატეგიის და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის რელევანტურობა და ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებთან თავსებადობა. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობის შედეგად შეიქმნა სტრატეგიის განხორციელების პროცესში ეროვნული სტატისტიკის სისტემის წევრების და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობის საფუძველი, რაც ხელს შეუწყობს განხორციელების და მონიტორინგის ეფექტიანობას და ეფექტურობას.

წინამდებარე ანგარიში აღწერს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და საჯარო კონსულტაციების პოცესში გამოყენებულ მეთოდებს და ძირითად შედეგებს.

## 1.1 მეთოდოლოგია

სტრატეგიის შემუშავების პროცესი ინკლუზიურად, საქართველოს სტატისტიკის სისტემის ყველა რგოლის მონაწილეობით წარმართა. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის პროცესი ასახულია დიაგრამა 1-ზე.



დიაგრამა 1. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის პროცესი

პირველ ეტაპზე განისაზღვრა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და საჯარო კონსულტაციების მიზნები. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სტრატეგიის შემუშავების პროცესში ეროვნული სტატისტიკის სისტემის წევრების აქტიური მონაწილეობა. ასევე, პროცესი მიზნად ისახავდა სხვა დაინტერესებული მხარეების ჯგუფებთან თანამშრომლობას და კონსულტაციას სიტუაციის სრულყოფილი ანალიზისა და ძირითადი გამოწვევების ზუსტი იდენტიფიცირებისთვის. ფართო საზოგადოებისა და მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფთან საჯარო კონსულტაციის მიზანს წარმოადგენდა მათი ინფორმირება როგორც სტრატეგიის შემუშავების პროცესის, ისე – ძირითადი გამოწვევების, სტრატეგიული ამოცანების და აქტივობების შესახებ. მათი უკუკავშირი მნიშვნელოვანი იყო როგორც სიტუაციის ანალიზის ეტაპზე, ისე – სტრატეგიული ამოცანების და აქტივობების შემუშავების დროს.

შემდეგ ეტაპი დაეთმო დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას, დაჯგუფებასა და ანალიზს.

### 1.1.1 დაინტერესებული მხარეების ანალიზი

დაინტერესებული მხარეების ანალიზისთვის გამოყენებული იქნა დაინტერესებული მხარეების გავლენის მატრიცა (იხ. დიაგრამა 2). პირველი ეტაპი დაეთმო ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებასა და დაჯგუფებას, ხოლო შემდეგ ეტაპზე განხორციელდა მათი ანალიზი. ძირითადი დაინტერესებული მხარეები დაჯგუფდა ეროვნული სტატისტიკის სისტემასთან მიმართებით მათი გავლენისა და ინტერესის დონეების მიხედვით. ანალიზის შედეგად გამოვლინდა პრიორიტეტული ჯგუფები და დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ჯგუფისთვის, მათი ინტერესის და გავლენის დონის გათვალისწინებით, შემუშავდა შესაფერისი ჩართულობის მეთოდები.

ამასთან, პროცესის გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობისთვის, განისაზღვრა მოქალაქეთა ჩართულობის მეთოდები სხვადასხვა ინტერაქციის ხარისხით, როგორცაა ინფორმირება და ტრანზაქცია<sup>1</sup>.

ანალიზის შედეგების მიხედვით პრიორიტეტულ ჯგუფებს წარმოადგენენ საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, მთავრობის ადმინისტრაცია და ძირითადი დარგობრივი სამინისტროები, მათ სისტემაში შემავალი სსიპ-ების ჩათვლით, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ეროვნული სტატისტიკის სისტემის წევრებს.


დაბალი გავლენის, მაგრამ მაღალი ინტერესის მქონე ჯგუფებს წარმოადგენენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული სტატისტიკის სისტემის განვითარებაში და, ამავდროულად, წარმოადგენენ ოფიციალური

---

<sup>1</sup> ინფორმირებაში იგულისხმება, ძირითადად, ცალმხრივი პროცესი – როდესაც აუდიტორია სხვადასხვა საკითხზე ან პროცესზე ინფორმაციას იღებს, ხოლო უკუკავშირი, ფაქტობრივად, არ ხდება; ტრანზაქციულ კონსულტირებაში იგულისხმება ორმხრივი კომუნიკაცია – როდესაც აუდიტორია გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საკუთარ მოსაზრებებს, შენიშვნებს, შეხედულებებს აწვდის, ხოლო გადაწყვეტილების მიმღები (მაკოორდინირებელი ორგანო) ამ ინფორმაციას აგროვებს (პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, დანართი 11).

სტატისტიკის მომხმარებლების მნიშვნელოვან ჯგუფს. ასევე, ამ ჯგუფში შედიან ადმინისტრაციული ორგანოები (მუნიციპალიტეტები), რომლებიც სტატისტიკას იყენებენ ადგილობრივი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კვლევითი ორგანიზაციები, რომლებიც ოფიციალური სტატისტიკის საფუძველზე ქმნიან ანალიტიკურ და კვლევით პროდუქტებს, სამეცნიერო წრე, ანალიტიკური ცენტრები, კერძო სექტორი და ასოციაციები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ოფიციალურ სტატისტიკას აქვეყნებენ (მაგალითად, ევროსტატი) ან იყენებენ საერთაშორისო ანალიზისთვის, რეიტინგებისთვის და ა.შ. (მაგალითად, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვ.).

დაბალი გავლენის და ინტერესის მქონე ჯგუფებს წარმოადგენენ მედია და მოქალაქეები. აღნიშნული ჯგუფის ინფორმირება მნიშვნელოვანია, რათა არ მოხდეს მათი ინტერესების და საჭიროებების გამორიცხვა და დისკრიმინაცია ოფიციალური სტატისტიკის განვითარების დაგეგმვის დროს.



დიაგრამა 2. დაინტერესებული მხარეების ანალიზი

1.1.2 დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის და საჯარო კონსულტაციისთვის შერჩეული მეთოდები

ანალიზის შედეგად გამოვლინდა პრიორიტეტული ჯგუფები და, მათი ინტერესის და გავლენის გათვალისწინებით, შეირჩა შესაბამისი ჩართულობის მეთოდები (იხ. ცხრილი 1)

დაინტერესებული მხარეების ჯგუფები	ჩართულობის მეთოდი
<p>1. საჯარო უწყებები – სტატისტიკის ეროვნული სისტემის წევრები (დიაგრამა 2-ზე ნახსენები დარგობრივი სამინისტროები, მათ სტრუქტურაში შემავალი სსიპ-ები და საქართველოს ეროვნული ბანკი)</p>	<p>1. სიღრმისეული ინტერვიუები. სიტუაციის ანალიზის ეტაპზე ჩატარდა ონლაინ ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუები ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. თითო კონსულტაცია გრძელდებოდა საშუალოდ 1-1.5 საათი. (იხილეთ სექცია 2.1)</p>
	<p>2. სამუშაო შეხვედრები. სტრატეგიის შემუშავების პროცესში გამოყენებულია საკოორდინაციო მექანიზმი, რომლის მეშვეობით შეიქმნა ორი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი წარმოადგენდა სტატისტიკის ეროვნული სისტემის წევრ უწყებას. სამუშაო შეხვედრების დეტალური ინფორმაციისთვის (იხ. სექცია 2.2)</p>
	<p>3. ელექტრონული კომუნიკაცია. სამუშაო ჯგუფის წევრებთან იგზავნებოდა სამუშაო დოკუმენტები ელექტრონული სახით. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდებოდა დოკუმენტების განახლება და სამუშაო ჯგუფის წევრების ინფორმირება. ჯამში ჩატარდა სამუშაო დოკუმენტების გადახედვის ორი ციკლი: პირველი უკუკავშირის მიღების და გათვალისწინების შემდეგ სამუშაო ჯგუფის წევრებს გაეგზავნათ განახლებული ვერსია. განახლებულ ვერსიაზე მიღებული უკუკავშირის გათვალისწინების შემდეგ სამუშაო ჯგუფების ინფორმირება მოხდა მიღებული/გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ.</p>
<p>2. საერთაშორისო ორგანიზაციები</p>	<p>1. სიღრმისეული ინტერვიუები. სიტუაციის ანალიზის ეტაპზე ძირითად დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან ჩატარდა ონლაინ შეხვედრა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით.</p>
<p>3. დაინტერესებული მხარეების სხვა ჯგუფები</p>	<p>1. საჯარო შეხვედრა. სტრატეგიის შემუშავების პროცესში ორი საჯარო შეხვედრა ჩატარდა: სიტუაციის ანალიზის ეტაპზე და სტრატეგიის და</p>


დაინტერესებული მხარეების ჯგუფები	ჩართულობის მეთოდი
	სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის განხილვის ეტაპზე. ორივე შემთხვევაში ანონსი საჯარო შეხვედრის შესახებ გამოქვეყნდა მინიმუმ 2 კვირით ადრე და გავრცელდა საქსტატის ვებსაიტის და სოციალური მედიის (Facebook, LinkedIn, Twitter) მეშვეობით ქართულ და ინგლისურ ენებზე.
	2. უკუკავშირის ონლაინ ფორმა განთავსდა საქსტატის ვებსაიტზე სხვა სამუშაო დოკუმენტებთან ერთად. უკუკავშირის ფორმის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა საშუალება წერილობით გამოეგზავნა კომენტარები და შენიშვნები სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიებთან დაკავშირებით.
	3. ინფორმირება რელევანტური ინფორმაციის, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის შესახებ, სამუშაო ვერსიების საჯაროდ განთავსების შესახებ და სხვა, მიწოდება ფართო აუდიტორიისთვის ხდებოდა საქსტატის ვებსაიტის და სოციალური მედიის მეშვეობით.

ცხრილი 1. ჩართულობის მეთოდები

## 2. სექტორული კონსულტაციები

### 2.1 ორმხრივი საკონსულტაციო შეხვედრები

სიტუაციის ანალიზის ეტაპზე ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა ორმხრივი საკონსულტაციო შეხვედრები. შეხვედრები წარიმართა ონლაინ, სიღრმისეული ინტერვიუს ფორმატში. ყოველ შეხვედრას ესწრებოდნენ შესაბამისი უწყებების სხვადასხვა სამმართველოს და სამსახურის წარმომადგენლები, რამაც უზრუნველყო საკითხების სიღრმისეული განხილვა. შეხვედრისთვის გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი და ძირითადი დრო დაეთმო დისკუსიას, რათა მონაწილეებს საშუალება ჰქონოდათ სრულად წარმოედგინათ საკუთარი შეხედულებები და საჭიროებები ოფიციალური სტატისტიკის განვითარებასთან მიმართებით.



სურათი 1. შეხვედრები საქართველოს ეროვნულ ბანკთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან

შეხვედრებზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: უწყებების საჭიროებები ოფიციალური სტატისტიკის ხელმისაწვდომობის მხრივ, უწყებების გეგმები ადმინისტრაციული მონაცემების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, მიმდინარე პოლიტიკის დაგეგმვის და მონიტორინგის პროცესში საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობა და ხარისხი და სხვ.

ჯამში ჩატარდა შეხვედრა 20 საჯარო უწყებასთან, ეროვნული სტატისტიკის სისტემის წევრებთან. შეხვედრებში საჯარო სექტორის 53 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა (იხ. დანართი 1). აღნიშნულ მონაცემებში არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური შეხვედრები საქსტატის დეპარტამენტებთან და მენეჯმენტთან, სადაც, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით, განიხილებოდა ოფიციალური სტატისტიკის განვითარების პრიორიტეტები, გეგმები, გამოწვევები და საჭიროებები.

დამატებით ჩატარდა 5 შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მათ შორის გლობალური შეფასების გუნდთან (იხ. დანართი 1).

ჩატარებული შეხვედრები წარმოადგენდა სიტუაციის ანალიზისთვის ინფორმაციის ერთ-ერთ მთავარ წყაროს. განხილული იყო ბევრი საკითხი, თუმცა მთავარი მიგნებები შეიძლება შეჯამდეს შემდეგი საკითხების მიხედვით:

- a. საჭიროა დამატებითი მაჩვენებლების წარმოება კონკრეტულ სექტორებში სტრატეგიების დაგეგმვისა და მონიტორინგის მხარდასაჭერად, ასევე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) განხორციელებისთვის საჭირო მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების მხარდასაჭერად;
- b. ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი კატეგორიებისთვის საჭიროა სქესის, რეგიონის და, ზოგიერთ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მიხედვით დისაგრეგირებული მონაცემები;
- c. დარგობრივი სამინისტროები და წამყვანი სსიპ-ები საჭიროებენ მონაცემთა მხარდაჭერას საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ანგარიშების მოთხოვნების (მაგ. მაღალი დონის ოფიციალური კითხვარების) შესრულებისთვის;
- d. საჭიროა უკეთესი კოორდინაცია და უფრო მჭიდრო თანამშრომლობა სტატისტიკის ეროვნული სისტემის ფარგლებში. საერთაშორისო დონორებთან შეხვედრების ფარგლებში, დადებითად შეფასდა საქსტატის პოზიციონირება დონორთა კოორდინაციის მხარდასაჭერად ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენებისა და დუბლირების თავიდან აცილების მიზნით;
- e. საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეხვედრების დროს აქტიურად განიხილებოდა გენდერული მენისტრიმინგი ოფიციალურ სტატისტიკაში და საჭიროებები გენდერული სტატისტიკის განვითარების მიმართულებით.

## 2.2 სამუშაო ჯგუფების შეხვედრები

ძირითადი დაინტერესებული მხარეების აქტიური და ნაყოფიერი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, უწყებათაშორისი საბჭოს მიერ შეიქმნა ორი თემატური სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრები გახდნენ რელევანტური უწყებების წარმომადგენლები.



ჯგუფების სტრუქტურა დაიგეგმა იმგვარად, რომ პროცესში ჩართული ყოფილიყო ეროვნული სტატისტიკის სისტემის ყველა ძირითადი წევრი. სამუშაო ჯგუფების ჩართულობა მიზნად ისახავდა პროცესში მათი ინტერაქციულობის მაქსიმალური დონის მიღწევას – ტრანსფორმირებას<sup>2</sup>. ამგვარად, სამუშაო ჯგუფის წევრები გახდნენ სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის თანაავტორები, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების რელევანტურობას და ქმნის ძლიერ საფუძველს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტიანობის და ძლიერი უწყებათაშორისი თანამშრომლობისთვის.

სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზე დაიგეგმა 2-დღიანი სამუშაო შეხვედრა სტრატეგიის შემმუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს (იხ. დანართი 4) წევრი უწყებების წარმომადგენლებთან. უწყებათაშორისი საბჭოს პირველ სხდომაზე, 2023 წლის 31 ოქტომბერს, შეთანხმდა და დამტკიცდა თემატური სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა და მათი ტექნიკური დავალების დოკუმენტი. ჩამოყალიბდა ორი სამუშაო ჯგუფი (იხ. დანართი 3): 1) სამუშაო ჯგუფი სტატისტიკის წარმოების პროცესებისა და მონაცემთა ხარისხის საკითხებზე (21 წევრი); 2) სამუშაო ჯგუფი სტატისტიკის გამოყენების და ეროვნული სტატისტიკის სისტემის გაძლიერების საკითხებზე (12 წევრი).

სამუშაო შეხვედრა დაიგეგმა 2023 წლის 28-29 ნოემბერს, თბილისში, სასტუმრო „პილტონ გარდენ ინ“-ში. შეხვედრამდე სამუშაო ჯგუფის წევრებს დაეზავნათ ტექნიკური დავალება და შეხვედრის დღის წესრიგი (იხ. დანართი 2). შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საქსტატისა და უწყებათაშორისი საბჭოში ჩართული უწყებების წარმომადგენლებმა, ისე – საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გაეროს განვითარების პროგრამიდან (UNDP) და გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან (UN Women).



სურათი 2. სამუშაო ჯგუფების შეხვედრა, 1-ელი დღე

შეხვედრა გახსნა საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ. ასევე, მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ პროგრამის მენეჯერი სალომე ოდიშარია (გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მმართველობის რეფორმის ფონდის (GRF) პროექტი), საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის სამმართველოს უფროსი ნათია წიქარაძე, რომელიც ამასთანავე ამ სტრატეგიის შემმუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს წევრიცაა. პირველი მოხსენება წარმოადგინა

<sup>2</sup> ტრანსფორმირება ორმხრივი კომუნიკაციის უმაღლესი დონეა, სადაც უწყებასა და აუდიტორიას შორის კონსულტაციების დროს მხოლოდ ინფორმაციის გაცვლა კი არ ხდება, არამედ მიმდინარეობს მსჯელობა, დისკუსია, სიღრმისეული ანალიზი, დეტალური განხილვა და გადაწყვეტილებები ერთობლივი ძალისხმევით მიიღება (პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, დანართი 11).

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მმართველობის რეფორმის ფონდის (GRF) პროექტის საერთაშორისო ექსპერტმა სტივენ ვეილმა, ოფიციალური სტატისტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და რეკომენდაციების შესახებ. შემდეგი მოხსენებისას გოგიტა თოდრაძემ დამსწრეებს წარმოუდგინა ახალი სტრატეგიის პროექტის ფარგლებში ოფიციალური სტატისტიკის განვითარების ხედვა, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, ხოლო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მმართველობის რეფორმის ფონდის (GRF) პროექტის ადგილობრივმა კონსულტანტმა, ნატალია შათირიშვილმა განიხილა სტრატეგიის შემუშავების პროცესი, სამუშაო ჯგუფების როლი (ტექნიკური დავალება) და სამოქმედო გეგმის შემუშავების პრინციპები. აქტუალური საკითხების წამოსაწევად, ასევე დასაგეგმ აქტივობებთან დაკავშირებით გენდერულ ჭრილში იდეების გენერირების ხელშესაწყობად, პრეზენტაცია წარმოადგინეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) გენდერული თანასწორობის და სოციალური ინკლუზიის სპეციალისტმა ლიკა ჯალაღანიამ და გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან (UN Women) კვლევის და მონაცემთა ანალიტიკოსმა ნათია მესტვირიშვილმა, თემაზე – „გენდერის მენისტრიმინგი ოფიციალურ სტატისტიკაში“.

სამუშაო შეხვედრის 1-ელ და მე-2 სესიებზე დამსწრეები სამუშაო ჯგუფების ტექნიკური დავალების შესაბამისად 2 თემატურ ჯგუფად გაიყო და დაიწყო ინტერაქტიულ რეჟიმში სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა. ჯგუფებს უძღვებოდნენ ფასილიტატორები: 1-ელ ჯგუფში განხილვებს ხელმძღვანელობდა საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე პაატა შავიშვილი, ხომ მე-2 ჯგუფს – საქსტატის სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი, სტრატეგიის შემმუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს მდივანი დავით კუპატაძე. ჯგუფების მონაწილეებს წარედგინათ სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ორმხრივი შეხვედრებისას ჩამოყალიბდა სიტუაციის ანალიზის საფუძველზე. თითოეული პუნქტის გავლისას გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე ფიქსირდებოდა კომენტარები, რომელსაც შემდგომ მოყვა რეაგირება და აისახა სამოქმედო გეგმის განახლებულ ვერსიაში.



სურათი 3. სამუშაო ჯგუფების შეხვედრა, მე-2 დღე

შეხვედრის მეორე დღის დასაწყისი დაეთმო მოხსენებებს პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების საკითხებზე, სამუშაო ჯგუფის წევრების თეორიულ საკითხებში გათვითცნობიერების მიზნით. მომხსენებლები იყვნენ ნათია წიქარაძე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის სამმართველოს უფროსი და საქსტატის სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ჯულიეტა ბერაია. მოხსენებების დასრულების შემდეგ, მე-3 სესიაზე კვლავ გაგრძელდა მუშაობა სამუშაო ჯგუფებში, თუმცა ამჯერად ორივე თემატურ ჯგუფში ერთობლივად წარიმართა დისკუსია სამოქმედო გეგმის

პროექტში წინა სესიებისას ასახული ცვლილებების გარშემო, გაჟღერდა იდეები სტატისტიკის ეროვნული სისტემის სრულყოფისთვის, რომლებიც ახალი აქტივობების გენერირების საფუძველი გახდა.

შეხვედრის დასკვნით ნაწილი დაეთმო სამუშაო ჯგუფებში განხილვების შედეგების შეჯამებას და ჯგუფის წევრების ინფორმირებას სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამომავლო ეტაპებთან დაკავშირებით.

### 3. საჯარო კონსულტაციების შეხვედრები

დაინტერესებული მხარეების ანალიზის შედეგად და საჯარო კონსულტაციის მიზნების გათვალისწინებით, დაიგეგმა ორი საჯარო კონსულტაცია სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე: სიტუაციის ანალიზის ეტაპზე და სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის განხილვის ეტაპზე.

პირველი საჯარო კონსულტაციის შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სიტუაციის ანალიზის მიგნებების განხილვა და ვალიდაცია, ოფიციალური სტატისტიკის სხვადასხვა მომხმარებლების ჯგუფების უკუკავშირის მიღება სტატისტიკის სისტემის განვითარების პრიორიტეტებთან დაკავშირებით და სტრატეგიული მიზნების და ამოცანების პროექტის განხილვა.



სურათი 4. პირველი საჯარო კონსულტაციის შეხვედრა


შეხვედრა ჩატარდა ონლაინ 2023 წლის 17 ნოემბერს და მას ესწრებოდნენ:

1. საქსტატის სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტის წარმომადგენელი;
2. მეთოდოლოგიისა და ხარისხის მართვის სამმართველოს წარმომადგენელი;
3. ადგილობრივი კონსულტანტი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)-ის მმართველობის რეფორმის ფონდის (GRF) პროექტი;
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) საბჭოს წევრი;
5. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის კერძო სექტორის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრის წარმომადგენელი;
6. USAID ძლიერი სოფლის პროგრამის წარმომადგენელი;
7. ოფიციალური სტატისტიკის დარგის ექსპერტი.

შეხვედრაზე განხილული იყო სიტუაციის ანალიზის მიგნებები და წარდგენილი იყო სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების პროექტი. დისკუსიის რეჟიმში განხილული იყო შემდეგი გამოწვევები ოფიციალური სტატისტიკის განვითარების მიმართულებით:

- ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში ადმინისტრაციული მონაცემების წყაროების წილის გაზრდის აუცილებლობა;
- ახალი ინდიკატორების წარმოების საჭიროება, რათა ვუპასუხოთ ოფიციალურ სტატისტიკაზე მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფის მზარდ მოთხოვნას;
- მუნიციპალური სტატისტიკის განვითარების საჭიროება;
- EU NUTS კლასიფიკაციის დანერგვის საჭიროება;
- მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების განახლების და ახალი ინდიკატორების წარმოების საჭიროება;
- სტატისტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლების საჭიროება და მისი გამოყენების ხელშეწყობა;
- ბაზების ხელმისაწვდომობის გაზრდის საჭიროება, განსაკუთრებით ბიზნეს გამოკვლევების ბაზების;
- ასევე, კონკრეტული რეკომენდაცია ეხებოდა სტრატეგიულ ამოცანას „ანალიტიკური პერსპექტივის ხელშეწყობა, მონაცემთა მაქსიმალურად პასუხისმგებლიანი გამოყენების მხარდასაჭერად“, კერძოდ, განხილული იყო ამ ეტაპზე რამდენად პრიორიტეტულია საქსტატში ანალიტიკური პერსპექტივის შესაძლებლობის განვითარება.

აღნიშნული განხილვების შედეგები გათვალისწინებული იქნა სტრატეგიის ამოცანების და სამოქმედო გეგმის აქტივობების შემუშავების პროცესში. მონაწილეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები თავსებადია სტრატეგიის საბოლოო მიზნებთან და ამოცანებთან.



სურათი 5. მეორე საჯარო კონსულტაციის შეხვედრა

დაინტერესებულ მხარეებს შეეძლოთ უკუკავშირის გაზიარება როგორც ონლაინ შეხვედრის დისკუსიის ნაწილში, ასევე – წერილობით, საქსტატის ვებსაიტზე საჯარო კონსულტაციისთვის შექმნილ სექციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე. თუმცა, პირველი საჯარო კონსულტაციის პროცესში წერილობითი უკუკავშირი საქსტატს არ მიუღია.

მეორე საჯარო კონსულტაცია ჩატარდა სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის საბოლოო სამუშაო ვერსიების განხილვის ეტაპზე. პირველ რიგში საქსტატის ვებსაიტზე, სტრატეგიის საჯარო კონსულტაციისთვის შექმნილ სექციაში აიტვირთა სამოქმედო გეგმის და სტრატეგიის სამუშაო ვერსები. ამასთან ერთად, შეიქმნა ონლაინ უკუკავშირის ფორმა „Google Forms“ პლატფორმის გამოყენებით. საქსტატის ვებსაიტზე და სოციალურ მედიაში მის ოფიციალურ გვერდებზე განთავსდა ინფორმაცია და ბმულები ატვირთულ

დოკუმენტაციასთან, ონლაინ უკუკავშირის ფორმასთან და დაანონსდა ონლაინ საჯარო კონსულტაცია. დოკუმენტების ატვირთვიდან საჯარო კონსულტაციამდე გათვალისწინებული იყო ორკვირიანი შუალედი.

ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული ინფორმაცია დამატებით ელექტრონულ ფოსტაზე დაეგზავნათ პირველი საჯარო კონსულტაციის მონაწილეებს, უნივერსიტეტებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ჯამში 34 ორგანიზაციას დაეგზავნათ ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

ონლაინ ფორმის მეშვეობით უკუკავშირი საქსტატს არ მიუღია. ელექტრონული ფოსტის მეშვეობის მიღებულია კომენტარები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან UNICEF და გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან (UN Women) (იხ. ცხრილი 2).

მიღებული უკუკავშირი	გათვალისწინების ხარისხი
ბავშვებისა და მოზარდების სტატისტიკის პორტალის განვითარების მიზნით არსებული მონაცემების განახლება მიმდინარე სტატისტიკით და ახალი ინდიკატორის წარმოება (UNICEF)	გათვალისწინებულია 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმაში (აქტივობა 1.1.42)
აუნაზღაურებელი შრომის სატელიტური ანგარიშის მეთოდოლოგიის პილოტირება (UN Women)	გათვალისწინებულია 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმაში (აქტივობა 1.1.40)
გენდერული თანასწორობის ინდიკატორების მინიმალური სიის შექმნა უწყებათაშორისი თანამშრომლობით (UN Women)	ნაწილობრივ გათვალისწინებულია 2024-2025 გეგმაში (აქტივობა 2.1.2) – შეიქმნება ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული სტატისტიკის საკითხებზე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომლის ქვეშ ასევე შეიქმნება თემატური ჯგუფი გენდერული სტატისტიკის საკითხებზე. შესაბამისად, შეიქმნება თანამშრომლობის უწყებათაშორისი მექანიზმი გენდერული სტატისტიკის საკითხებზე.
ქალი და კაცი საქართველოში პუბლიკაციის განვითარება და ახალი ინდიკატორების დამატება (UN Women)	გათვალისწინებულია 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმაში (აქტივობა 3.2.8)
დროის გამოყენების კვლევის პორტალის შექმნა (UN Women)	გათვალისწინებულია 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმაში (აქტივობა 3.2.7)
აღწერის მონაცემებზე დაფუძნებით ანალიტიკური ანგარიშების მომზადება (UN Women)	გათვალისწინებულია 2024-2027 წლების სტრატეგიაში

მიღებული უკუკავშირი	გათვალისწინების ხარისხი
გენდერული სტატისტიკის მიმართულების საგანმანათლებლო მასალების და ტრენინგების მომზადება (UN Women)	არ არის გათვალისწინებული, რადგან ამ ეტაპზე, დაგეგმილი საყოველთაო აღწერის გათვალისწინებით, საქსტატს არ გააჩნია შესაბამისი ადამიანური რესურსი. თუმცა ამ მიმართულებით საქსტატი მზად არის ითანამშრომლოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ცხრილი 2. მიღებული უკუკავშირი

მეორე ონლაინ საჯარო კონსულტაციას დაესწრო 11 ადამიანი, მათ შორის:

1. საქსტატის სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტის წარმომადგენელი;
2. მეთოდოლოგიისა და ხარისხის მართვის სამმართველოს წარმომადგენელი
3. ადგილობრივი კონსულტანტი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)-ის მმართველობის რეფორმის ფონდის (GRF) პროექტი;
4. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამი წარმომადგენელი;
5. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)-ის მმართველობის რეფორმის ფონდის (GRF) პროექტის წარმომადგენელი;
6. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელი;
7. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელი;
8. ოფიციალური სტატისტიკის დარგის ექსპერტი.

შეხვედრის მონაწილეებს წარედგინათ პრეზენტაცია ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2024-2027 წლების სტრატეგიისა და 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ. დისკუსიის ნაწილში მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს აღნიშნული სტრატეგიის მნიშვნელობას დარგის განვითარებისთვის და გამოთქვეს სტრატეგიის მიზნების და ამოცანების სრული მხარდაჭერა.

### 3.1 ვებსაიტზე გამოქვეყნება და საჯარო კონსულტაციის პროცესში დაინტერესებულ მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება

სიტუაციის ანალიზის ეტაპზე, პირველი საჯარო კონსულტაციისთვის, „Google Form“-ის პლატფორმის გამოყენებით, შეიქმნა მონაწილეობის მსურველების სარეგისტრაციო კითხვარი (იხ. სურათი 6). კითხვარი ემსახურებოდა პროცესით დაინტერესებული პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, მათი შემდგომი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

საჯარო კონსულტაციაზე დარეგისტრირებისა და დასწრების საშუალება ჰქონდა ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს. კითხვარის ბმული თან დაერთო საჯარო კონსულტაციების შესახებ განაცხადს. მსურველებს კითხვარის შევსება შეეძლოთ პირველივე განცხადების გავრცელებისას, 2023 წლის 21 აგვისტოდან. საჯარო კონსულტაციების თარიღის დაკონკრეტებისას შესაბამისად შეიცვალა კითხვარის „ქუდიც“:

სურათი 6. ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა

საჯარო კონსულტაციების შესახებ პირველი საჯარო განცხადება განთავსდა 2023 წლის 21 აგვისტოს სხვადასხვა წყაროს გამოყენებით:

➤ საქსტატის ოფიციალურ ვებსაიტზე (ქართულ და ინგლისურ ენებზე):



**საქსტატი 2024-2027 წლების სტრატეგიის შემუშავებისთვის საჯარო კონსულტაციების ინიციატივა**

თარიღი: 21 სექტემბერი 2023

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მხარდაჭერით, ინიციატივა საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2024-2027 წლების სტრატეგიის და მისი განხორციელების 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებს, რომლებიც მოიცავს სტატისტიკის ეროვნული სისტემის შესაძლებლობების გაძლიერების საშუალო და გრძელვადიან ხედვასა და ამოცანებს. სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის და მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) შესრულების მხარდაჭერა. ასევე, სტრატეგიული პრიორიტეტებია გენდერული, რეგიონული, ცალკეული სფეროების და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებების სტატისტიკის განვითარება და სტატისტიკის ეროვნული სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება.

2023 წლის მაისში მიღებული ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონის ახალი ვერსია და 2024-2027 წლების სტრატეგია ხელს შეუწყობს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოებას.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში აუცილებელია ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისა თუ ფიზიკური პირის აქტიური მონაწილეობა. შესაბამისად, დოკუმენტის მომზადების პროცესში დაგეგმილია საჯარო კონსულტაციების ჩატარება. აღნიშნული საჯარო კონსულტაციების მიზანია უზრუნველყოს საზოგადოების მასშტაბური ჩართულობა სტრატეგიის შემუშავების ყველა ეტაპზე, რათა უზრუნველყოს გამოთქმული აისახოს დოკუმენტში არსებული გამოწვევების დაძლევისა და სტატისტიკის სისტემის გაუმჯობესებისთვის.

საჯარო კონსულტაციების პირველი შეხვედრის ჩატარების სავარაუდო დროა სექტემბრის მეორე ნახევარი. შესაძლოა დარეგისტრირებულმა ცნობილმა მოწვევის შერიგით, კონსულტაციებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციის ან ფიზიკურ პირს. საჯარო კონსულტაციების პროცესში მონაწილეობით დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ 2023 წლის 10 სექტემბრამდე გაიაროთ რეგისტრაცია შემდეგ ბმულზე: <https://forms.gle/W7YWMGxys8mSKuqW8>

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის და ვიმედოვნებთ, რომ აქტიურად იქნებით ჩართული ამ მნიშვნელოვან პროცესში.

სურათი 7. საქსტატის ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაცია



➤ სხვადასხვა სოციალურ ქსელში საქსტატის ოფიციალურ გვერდებზე:

- ფეისბუქი (Facebook) (ქართულ ენაზე)
- ლინკდინი (Linkedin) (ინგლისურ ენაზე)
- ტვიტერი (Twitter) (ინგლისურ ენაზე)


საჯარო კონსულტაციების შესახებ განაცხადები განმეორებით გავრცელდა 2023 წლის 9 ნოემბერს:

- საქსტატის ოფიციალურ ვებსაიტზე (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- სხვადასხვა სოციალურ ქსელში საქსტატის ოფიციალურ გვერდებზე:
  - ფეისბუქი (Facebook) (ქართულ ენაზე):



სურათი 8. ფეისბუქზე საქსტატის ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

- ლინკდინი (LinkedIn) (ინგლისურ ენაზე):



